

# ପ୍ରକାଶକ ମେଲ୍


ନୀରୁଳୁ ପାଇଁ କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା କିମ୍ବା

ՑԱԳՅՈՒՆՆԵՐ Նո 307

დამატების № 55

ՃՅՈՒՅ, 14 օՅՆՈՅՈ 1915 թ.

# სამატებადინო საქართველო



სამაჟილიანობრივი საქართველო, ანუ ქვეყნი გესხით.

(ახალ ციხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტანი, კოლა, აჭარა, შავშეთი, ჭანეთი, კლარჯეთი,  
ტაოს კარი).



ପଦ୍ମନାଭଙ୍ଗାଳୀ ମାତ୍ରମାଲିକୀ ପାହାନ୍ତରଙ୍ଗାଳୀଙ୍କ.



ნალჩიკის (თერგის ოლქი) ქართული სკოლის კურთხევა, 1915 წელს ვ მაისს.  
(იხ. „სახ. ფურც.“ № 307).

ც-ც

მე, სატრფოვ, ჩემის პატა ღიმილით  
ავაგი დიდი ციხე-საყდარი,  
შიგ დავამწყვდიე ჩემივე სევდა,  
შიგ დავამწყვდიე ლექსი გამტყდარი;  
და თუ ურწმუნო ხალხთ ნათესავი  
შებლალავს ჩემს ერს, ჩემს ჭინაპარსა;—  
მაშინ ავარლვევ ამ ციხის კედლებს,  
მაშინ მოისმენ გამტყდარ ზღაპარსა.

ჩემო შვენებავ! დღეს თუ ვშაირობ,  
ხან თუ გიურ ვარ, ხან კიდევ—ბრძნი;  
ეს ყველა, სატრფოვ, შენ მომანიჭე,  
ეს ყველა შენგან მაქეს შენაძენი.  
და ჩემს შემდგომად, როს ჩემი ძვლები  
პირ-გაშლილ საფლავს ჩაესვენება,  
უკვდავ ემბლემად, გწამდეს, იცოცხლებს:  
მგოსნის ლექსი და ქალის შვენება.

კისლოვიდსკი.

ი. გრიშაშვილი.



## მესამე ური ანიშნობი

ლვინის ბოთლებითა და საუზმეულობით სავსე მაგიდას იმდენი  
ხალხი დაპირებდა, პატარა, დაბალი ოთახი ველარც კი იტევდა. მას-  
პინძელი იხალგაზდა კაცი იყო. სამსახურში ჭარჩინება მიეღო და ამის  
გამო ამხანაგები დაეპატიუა საქეიფოდ. სუფრა ისე იყო გაშლილი,  
როგორც მარტოხელა იხალგაზდა ყმაწვილს შეეფერებოდა. თავდა-  
პირებელად დიასახლისი ცოტაოდენ მზრუნველობას იჩენდა: ათხოვა  
ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, ლვინის ჭიქები, მაგრამ მერე, როდესაც  
სტუმრები შეზარბოზღნებ და უთავბოლო ღრიანცელი და სიმღერა  
ასტეხეს, იმასაც მოთმინება დაეკარგა. ჭარა-მარა მოსახლეობის შე-  
მოგზავნიდა, ცოტა ჭყარად იყავითო, მაგრამ შექეიფიანებულ ყმაწ-  
ვილებზე ასეთი გაფრთხილება ველარავითარ შთაბეჭდილებას ვერ ახ-  
დენდა. ოთახი პაპიროსის ბოლით გაივსო. ახლად შესულს უსათურიდ  
თავსბრუ დაესხმოდა, მაგრამ მოქეიფენი ველარაფერს ამჩნევდნენ და  
ღრიანცელს უმატებდნენ. ბუხრის გვერდით ცარიელ ბოთლთა რიცხვი  
სისტემატიურად იზრდებოდა. მოიქანცნენ, მოიღალნენ. ერთი იმათ-

განი, უკვე ხანში შესული კაცი, ბარბაცით წამოდგა და კუთხეში  
მდგარ ძველებურ, გვერდებ მოლრეცილ კრესლოზე მძიმედ დაეზვა.

დანარჩენ სტუმრებსაც თანდათან დაღლილობა შეემჩნათ. საამ-  
ბობი და საოხუნჯო აღარაფერი ჰქონდათ. უკანასკნელ ამბავს ასრუ-  
ლებდა ერთი მაღალ-მაღალი ჭორფლიანი ყმაწვილი. ამ ამბის მსმე-  
ნელებს ის დასკვნა უნდა გამოეტანათ, რომ არშიყობა მხოლოდ  
ქმრიან ქალთან არის კარგი და სასარგებლო. იმ დროს, როდესაც  
ახალგაზდა კაცი ცინიკურის გულაბდილობით უამბობდა, როგორ შე-  
აცდინა ერთი ქმრიანი ქალი და როგორ აუზვია თვალები ტუშუც  
ქმარს, კუთხეში მჯდარი შეანის კაცი უკანაურად შეტორტმანდა  
და წელში მოიბუზა. სახე მოეღრიუა, ეტყობოდა რაღაც აბეზარი  
მოგონება მოსვენებას არ აძლევდა.

— ყმაწვილებო, ეგ ტყუილია, ტყუილია!— შეჰვირია მან, რო-  
დესაც ახალგაზდა კაცმა თავისი ამბავი დაასრულა.

ყველამ იმისკენ მიიხედა.

— თუ ნებას მომცემთ, ერთს ამბავს გეტყვით, ნამდვილ ამ-  
ბავს. მაშინ დარწმუნდებით, რომ ქმრიან ქალთან არშიყობა ძალიან  
სახითათ საქმეა.

ძია ვანო, როგორც ეძახდნენ ახალგაზდები თავის უფროსს აძ-  
ხანავს, ისეთი აღელვებული იყო, რომ ყველას ცნობის მოყვარეობა  
გაუღვიძა.

— გვიამბე, გვიამბე!— თითქმის ერთხმად შესძახეს ყმაწვილებ-  
მა და ნელ-ნელა ძია ვანოს გარშემო მოგროვდნენ.

I

„ეს ამბავი მაშინ მოჰქდა, როდესაც ოთხი წლის ჯვარდაწერი-  
ლი ვიყავი, — დაიწყო ძია ვანომ. — „ზოგიერთმა თქვენთაგანმა იცის,  
რომ მე სიყვარულით შევირთე ცოლი. თუ შეიძლება ამ ცოდვილ  
ქვეყანაზე ბეღნიერება იყოს, იგი სწორედ ჩემს რჯახში არსებობდა.  
ცოლ-ქმარს ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი და, განა, ეს სრულიად  
საკარისი არ არის ბეღნიერებისთვის? პირველ ხანგში, როგორც  
თქვენც მოგეხსენებათ, ხელმოკლედა ვცხოვრობდით და ამიტომ იძუ-  
ლებული ვხდებოდით ერთი ოთახი გაგვექირავებინა. მშვიდი ლ-  
წენარი მდგმური გვყავდა. დილით სამსახურში მიდიოდა, სადღაც  
რესტორანში სადილობდა, მერე, აღბად, ნაცნობებში დადიოდა ნაც-  
ნობებიდან კლუბსა ან თეატრში და ღამე ისეთს ღრიან ბრუნდებო-  
და, როდესაც ჩენ ყველას ტებილის ძილით გვეძინა. საშობაოდ ჩემს  
მდგმურს სტუმრად და ჩამოუვიდა. მაინცა და მაინც დიდი არაფერი  
იყო. ჩემი ცოლი გაცილებით უფრო ლამაზი იყო; მაგრამ იმ წელში  
რაღაც უკანაურა გამომეტყველების თვალები ჰქონდა, დიდი, ცნო-  
ბისმოყვარე და კელუცა, პირველ ხანგში ესეც ვერ შევამჩნი; უც-  
ნაური თვისებანი მისი თვალებისა მხოლოდ შემდეგ აღმოვაჩინე, რო-  
დესაც ინტრიგის ქსელში საცოდავდ გავები.

ერთხელ როგორლაც ისე მოჰქდა, რომ ჩემი ცოლი დილით სახ-  
ლიდან ადრე გავიდა. მეც სამსახურში მომიგვიანდა: სამუშაო მქონ-  
და დასამთავრებელი. როდესაც საქმე გავათავე, სასტუმრო თავაზში  
გავედი და ცოლის მზრუნველი ხელით დაჭაბებულ საუზმეს შევ-



პოლ. რაფენ გომელაური  
(მოკლულია).



ნიკოლოზ ხილელიშვილი  
(დაჭრილია).

კეცი, მდგმურის ოთახის კარები გაიღო და ქალი გამოჩნდა. საზიანი ტანისამოსი ცეკა. ფარლალალა კაბა ტანის ზოგიერთ ნაკლუ-ლოვანებას ჰქონია და ქალიც უფრო ლამაზად მოსახნდა.

— უკაცრავად, შეიძლება შეაფიდან ჭიქა გამოვიღო! — კეპლუ-კა ღიმილით მითხრა.

— რატომ? მობრძანდით! — ცუპასუხე. ვიცოდი, ამისთანა შემთხვევებში ზრდილობიანი დჯენტლმენი წამოხტებოდა და ჭიქას თითონ მიართმევდა ქალს; მაგრამ მე როგორლაც უკნაურად დავვეკარი სკამს; ისიც კი ვერ მოვახერხე, დროებით მაინც ჭამისთვის თავი და-მენებებინა; ვილმურძლებოდი. აღბათ ძალიან სასაცილო შთაბეჭდი-ლებას ვახდენდი, რადგანაც ქალს სახეზე ჯშმარიშმა ღიმილმა გა-დაურჩნა.

მარუსია, ასე ეძახდნენ ქალს, მივიდა მაგიდასთან და დაიშყო ჭიქის ძებნა. არ ვიცი, შემთხვევით თუ გაწმარა, მარუსიამ ვერას გზით ჭიქის ვერ მიაგნო, და ეშმაკურის უმწეობით ჩემსაკენ გადმოი-ხედა. მაშინ კი ვიკადრე წამოხტომა. გამოვიღე ჭიქა და მივაწოდე. მარუსიამ გამომართვა ჭიქა, მადლობა გადამიხადა და ტანის ნელის ჩემვით თავის ოთახისკენ გასწია. კარებთან ცოტახანს გაჩერდა და ჩემსაკენ მოიხედა. მე ისევ შეაფით ვიღიქი და მიმავალ ქალს ვუცე-როდი. არ ველოდი, თუ მოიხედავდა. შეკვრო და შეაფის გალებულ კარებს ამოვეფარე. მერე მეუპნებოდა, საშინელი სასაცილო გმო-მეტყველება გქინდათ. უცემელია ასეც იქნებოდა.

კედლის საათმა თერთმეტი დაჭრა. ელდა მეცა, სამსახურში დავიგვიანე. საჩქაროდ მოვემზადე და გავიქცე.

მეორე დღეს თეატრში უნდა წაესულიყავით, ბილეთები აღ-ბული გვქინდა. როგორლაც უყრი მოვკარი, რომ ჩენი მდგმურიც აპირობდა თეატრში წასვლას. არ ვიცი, რას მივაწერო, თქვენ რო-გორც ახალგაზდები და მინაირ საქმეში გამოცილნი, უცემელია მი-ზეზსაც გამოსხებინათ, მაგრამ იმ სალამოს მე თავი ამტკიცდა. ვის შეეძლო ეთქვა, ტყუილია, არც თავი გტკივა და არც გულიო! შუა-ზე გავაპოდდი. ცოლმა მაინც თავისი არ დაიშალა და წავიდა.

მარტო დავრჩი. მოუთმენლად დავიწყე სიარული კუთხიდან კუთხეში. მდგმურის ოთახის კარებს ვეღარ მოვშორდი. მაინცა და მინც იქ უნდა გამინოდა საქცე. გალაში დამწყვდებული ნადირო-ვით დავტრიალებდი ოთახში და თან და თან უმიზებო ბრაზი მი-ტანდა. უცბად კარები გაიღო და მარუსია გამოვიდა. არავითარი ღი-მილი არა სჩანდა მის სახეზე. ზედაც არ შემომხედა. შეაფიდან თეა-ზი გამოილო და კარები ისე მაგრა გაისურა, რომ კაცს ეგონებოდა თავის დღეში ვეღარ გაიღებათ. გულში თითქოს რაღაც მეჩევლი-ტა. მაგრად მოკეტილ კარებს ბრაზით გადავავლე თვალი, გავედი დერეფანში და პალტო ჩავიცვი. არ ვიცოდი სად წავიდოდი, მაგრამ მოშხამული ოთახიდან გასვლა მაინც საჭირო იყო. ის იყო გასვლა დავაპირე, რომ მდგმურის მეორე კარები გარღო და მარუსიას ჩემუ-ლებრივი მოლოდინი სახე დავინახე.

— მიდიხართ სადმე? საქმე გაქვთ?

— არა, ისე მივდივარ, მოწყენილი ვარ.

— მაში, მე მესტუმრეთ, თუ შეგიძლიანო ჩემთან საუბარით დრო მოჰკლათ.

— ვა თუ თავი მოვაწყინოთ.

— მობრძანდით! — და კარები ფართოდ გააღო.

მორჩილებით გავიხადე პალტო და ქალს ოთახში შევყევა.

პირველად ცოტა უხერხულობა ვიგრძენი, სინიდისს რომ ეძა-ხიან, იმან გამოჰყო თავი საბუღარიდან. მაგრამ მარუსიამ ქსეთი მხი-არული ლაპარაკი დაიწყო, რომ სინიდისი ისევ იმ მიურუებულ კუნ-ჭულში მიიმალა, საიდანაც ასე უდროვოდ გამოჩნდა. მარუსა ჩემს პირდაპირ იჯდა ტახტზე. ფეხი-ფეხზე გადაედო, თავი ხელზე დაეყრდნო, ხელი მუხლზე. მიუკეროდა და თავისი დიდი, ცნობის-მოყვარე თვალებით, თოქოს რაღაცას მეკითხებოდა.

— სხვა, რა იტყვით?

ხესავით გავშეშდი, ხმა ვეღარ ამოვიღო.

მარუსიამ უცბად გადიკისკისა, წამოხტა და ფანჯარასთან მი-ვიდა.

— ა საშინელი რამა ხართ კაცები! ერთი მითხარით, — სთქვა ცოტა ხნის შემდეგ მარუსიამ, — ძალან გაუკერო ცოლი?

ცოლის გახსენებამ უსიმოვნობ მიჩხვლიტა გულში. ამბობენ, ევგიპტელებს ჩევეულებად ჰქონდათ, შუა ქეიფის დროს მუმიას შეი-ცანდნენ დარბაზში, არ დაგავიწყდეთ, თქვენც ეს ბოლო მოგელით და სულ გაუფრთხილდით. უცემელია შუმია მოქეიფე ეგვიპტელებ-ზე ისეთს შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, რანაირიც ცოლის გახ-სენებამ — ჩემზე.

— აღბად ძალიან უცინარდეთ, — დაუმატა თითონვე, თქვენგან ჯერ ამაღლ ბული სიტყვა არ გამიგონია. ცოლ-ქმარი კი უსათუოდ ჩხუბობენ. ამ მეც, ჯერ ჯვარდაწერილი არა ვარ, მაგრამ ჩემს საქმროს ერთავად ვეჩხუბდები.

ესეც პირველი გაგონება იყო: მარუსიას საქმრო ჰყოლია.

— განა თქვენ საქმრო გავავთ?

— მყავს, მაგრამ არ მიყვარს.

— არ გიყვართ? არ გიყვართ და კი სთხოვდებით? მარუსიამ ისევ გადიხარხარა.

— ა ვუყრი მერე? გათხოვება საჭიროა და მეც ვთხოვდები. სიყვარულს კი ისევ მოვახერხებ. განა ცოტაა საიდუმლო სიტყბოე-ბის მოსურნე?

სთქვა ეს და ისეთის ეშინანის, ისეთის მერქნიბიარე თვალე-ბით გადმომხედა, რომ თავსბრუ დამესხა. ეს იყო და ეს. მოვიშხამე-სისხლი მომეწამლა.

უცემელები ამ ჯადოქარ ქალს და გონს ვერ მოვსულიყავი. ახალგაზდა, გასათხოვარი ქალი, თითქმის ყოველ დღე იღებს წერი-ლებს საქმროსაგან, რომელიც ვინ იცის, რამდენ სასიცვარულო და ნაზ სიტყვებს უძღვნის! ეს კი ეხლავე სცოდავს, სცოდავს წინდა-წინვე განზომილი ანგარიშით. სთხოვდება, რომ უფრო ადვილად მოახრის „საიდუმლო სიტყბოება“, როგორც თითონა სთქვა. ბევრ-ნაირი ქალი მინახევს, ბევრნაირი სიმრუშე გამიგონია, მაგრამ ამის-თანა ქალს კი ჯერ არ მოვსწრებივარ. შიშის ურუანტელმა დამიარა, მაგრამ მის მერქნიბიარე, აღმურ გადაკრულ სახეს მაინც თვალები ვერ მოვაშორე.

— თქვენ? — რაღაც უცნაურის ჩურჩულით მითხრა მარუსიამ და ნელა თავისი პატარა თითებით ჩემს ხელს შეეხო, — თქვენ? უარს იტ-ყოდით საიდუმლო სიტყბოებაზე?

არ ვიცი, რა უცასესუხე, მაგრამ გონს რომ მოვედი მარუსია ჩემს გულზე მიხურებულ დავინახე. თავი გადაეხარა, სახს გასწით-ლებოდა, უნინი გამშრალი ტუჩები საჟოვნელად იწვევდა აღმიანს. ქალი ერთხელ კიდევ მივიზადე ჩემსკენ, საშინაო, მსბუქად შეკერი-ლი კაბის ღილი გაპსნოდა და მეც ქალწულის გულ-მკერდი დავი-ნახე. ეშით დამთვრალი გულ-მკერდს დავეწალე.

— კმარა! — სოფელი ერთბაშად მარუსიამ და თავი გაინთავისუფლა.

— მარუსია! ნუ მტანჯავთ! — მუდარებით ვუთხარი მას და ფანჯრის დარაბები მიეზურე.

მარუსია ისარ-ნაკრავით წამოიჭრა. მტკოლედ გამოალო დარაბები და გაფთორებულმა შემომძახა.

— არ გაბედოთ, თორებ ეხლავე დავიყვირებ? გთხოვთ, ჩემი მოთახიდან წაბრძანდეთ, — სოფელი მან და კარები გამიღო.

როგორც კილო, ისე სახის გამომტეცველა ისეთი ჰქონდა, რომ არ შეიძლებოდა არ დაგმორჩილებოდი. ჩუმად გამოვედი. მარუსიამ კარები გაიხურა და გასაღებით დაპეტა. სხვა დროს მას თავისი მოთახი გასაღებით არ დაუკეტია.

## II

შეს შემდეგ წელიწად ნახევარმა გაიარა. მეორე დღესვე მარუსიამ ბარგი-ბარხანა შეჰქო და წავიდა. ძმისაგან გავიგე, მარუსიამ უკვი ჯვარი დაიწერა და ბედნიერად სცხოვრობს ქმართანაო. პირველ ხანებში აღრენილი ვიყავი. ასეთი ყოფილი გაღვიძებული დაუკმაყოფილებელი უინი. მაგრავ მალე ყველაფერი გადამავწყდა და მეც ქველებურ ბედნიერ ოჯახურ ცხოვრებას მიეუცი თავი. ფიცი დავდე, მრუშის თვალით ქალისთვის აღარ შემტებდნა.

ერთხელ, საომამ უამს, ნელ-ნელა სახლისკენ მივდიოდი. ჩაფიქრებული ვიყავი. საბულალტრო წიგნში ციფრი ციფრს არ უდგებოდა და მინდოდა გასეგო, სად მექნებოდა შეცდომა. უცბად ქალის მოკრძალებული ძანილი გავიგე. მივიხდე და მარუსია დავინახე. არავითარ განსაკუთრებულ რამ გრძნობას ჩემში არ გაუღვიძია, მაგრამ მისი ნახვა მაინც გამეხარდა, გამეხარდა, როგორც ძველი კარგი ნაცნობის ნახვა გაუხარდება აღამიანს.

— სხვა, როგორა ბრძანდებით? — მიევსალმე მარუსიას.

— გამადლობთ, თქვენ როგორლა ბრძანდებით? — თქვენი ცოლი როგორ არის?

გამომცდელის თვალით შევხედე მარუსიას; მეგონა ცოლს დაცინებით მაგონებდა, მაგრამ მის სახეზე ვერავითარი დაცინება ვერ მძმვიერებების მინება, ისევ თქვენ შემოიარეთ. ჩემს ცოლსაც გაეხარდება თქვენი ნახვა.

— რატომ ერთხელ ჩენთან არ მოხვალთ?

— მე დიდის სიამოვნებით მოვიდოდი, მაგრამ რა საჭიროა? მგონია უმჯობესი იქნება, ისევ თქვენ შემოიარეთ. ჩემს ცოლსაც გაეხარდება თქვენი ნახვა.

— მე კი მინდა თქვენ მოხვიდეთ ჩენსა. თქვენს სახლში მე მივიღე საჩუქარი; ეხლა მინდა ჩემს სახლში დაგასაჩუქროთ, — სოფელი მარუსიამ და სახეზე ძველებურმა კეკლუცმა ლიმილმა გადაურბინა.

ისევ ამიჩქროლდა გული. ძველი იარა გამეხსნა.

— ვეკვობ, თქვენ შეგეძლოთ აღამიანის დასაჩუქრება. საჩუქარი მიუძღვნით იმას, ვისთანაც, ალბად, განვლით ცხოვრების უღელს.

— რათა გვინათ? იცოდეთ, რომ, თუ წალი ქუჩაში გაყენებთ და ლიმილით, განსაკუთრებულის ლიმილით გიშვევთ სახლში, იმედი არ უნდა გადაიწყვიტოთ. მაშ, გელით! — მითხა მან და გამომემშვიდობა.

ორი დღე თავი ვიმაგრე. მესამე დღეს კი სისუსტემ შძლია და მარუსიასთან წავედი. მხიარულად დამხვდა. საუბარის დროს გავიგე, რომ მარუსიას შვილიც ჰყოლია, რომელიც გაგიყებით უყვარს. ჩენი საუბარი დარბაისელ ნაცნობთა საუბარზე შორს არ წასულა. ორივენი ვცდილობდით წარსულის მოგონებით ოჯახური ცხოვრების იდლია არ დაგვერლვია.

მაგრამ მარუსიას ერთბაშად სახე შეეცვალა, ეტყობა რაღაც მაცდურმა აზრმა გაურბინა თავში. წამოდგა და მომიახლოვდა.

— ძალიან გიყვარვართ? — მითხა ერთბაშად.

ასეთს კითხვას არ მოველოდი და ერთბაშად პასუხი ვერ მივეც.

რა მეპასუხა? მეთქვა მიყვარხაოთ მეთქი, — ტყუილი იქნებოდა. უარი მეთქვა, — და მაშინ ჩემი წინანდელი საქვიელის გამართლება აღარაფრით შეიძლებოდა. ტყუილი მაინც ვერა ვსოდე და დაბეჯითებით ვუპასუხე.

— არა, არ მიყვარხაოთ!

— მაშ, რაღაც მკოციდით!

ვერაფერი ვუპასუხე. რაღა ჰყოცნის კაცი ქალს, როდესაც გრებება?

— საიდუმლო სიტკბოება გინდათ? — ჩურჩულით მკითხა მარუსიამ, მითხა იმავე კილოთი და იმავე გრძნობით, რომელმაც პირველად გონება დამაკარგინა.

— ნუ თუ თქვენ თითონ ვერა ჰქვდებით, რათა გოცნიდით? რად გინდათ ჩემს საქციელს თავისი ნამდვილი სახელი ვუწოდო და მით სათნოების უკანასკნელი სახერავიც მოვაშორო გრძნობას, რომელიც...

— მხოლოდ უსირცხვილობაა, განა! — დაამთავრა თითონ მარუსიამ და თვალები უკანასკნელი რამ ცეცხლით აენთო.

— ეხლა თქვენ მზარდობით სიტკბოებას დაწარვოთ! — მოუთმენლად წამოიძახა მარუსიამ და მელავში ხელი წამავლო.

— მარუსია? — გრძნობით წარმოვსთქვი და გავიშვირე ხელი ქალის გულში ჩასახურებლად, მაგრამ მარუსია კატასავით გამომისხლტდა ხელითან და კუთხეში დადგა.

— ფეხი აღარ გადმოდგათ!

მერე გაბრუნდა, გავიდა მეორე ოთახში და ცოტა ხნის შემდეგ რაღაც ქალალდი გამოიტანა.

— აი, წაიკითხეთ, თქვენსა რომ ვსცხოვრობდი, ეს წერილი მაშინ მიესწერ ჩემს საქმროს. წაიკითხეთ.

ბრმა მორჩილებით გამოვართვი წერილი და კათხვა დავიწყე.

## „მ ხ ე ც ო!

ამის შემდეგ ყოველთვის ასე მოგიხსენებ ხოლმე. კაცები ისეთი სახალები ხართ, რომ უკეთესი სახელწოდება თქვენთვის აფსუსია. მე არ ვიცოდი ეჭვი რა იყო, მაგრამ ეხლა ლამის არის ეჭვის ბოლმამ მომელას. მე აქა ვზიგარ და შენ კი, მხეცო, ვინ იცის, რომელ ქალს ერთშივები და საძაგლიდ, პირუტყვივით ცახცახას შავთვალწარმას წინაშე. ეხლა სიყვარულს მეფიცები. მაგრამ გაივლის ხანი და შენც, როგორც ეს ოჯახის ეროვული ტუტუცი, სხვაგან დაიწყებ ქალების ძებნას „საიდუმლო სიტკბოების“ განსაცდელად. უნდა ნახო, რა საცოდავი სანახავია ჩვენი ბინის პატრონი! ცოლი მშევნიერი ჰყავს, ანგელოზივით ქალია. ეს კი ატუზულა ჩემს წინ და ლამის არის პატარა ბავშვივით ბლავილი დაიწყოს. დაპარაგვია აღამიანური სახე, დაპარაგვია თავმოყვარება, მხოლოდ თავისი უნის მონად და გადაქცეულა. რა საძაგლები ხართ კაცები! აღარ შემიძლიან აქ დარჩენა. მოვალ და, ვაი შენი ბრალიცა, თუ შენს თვალებში „საიდუმლო სიტკბოების“ სურვილი ამოვიკითხე.

შენი მარუსია.

ნელი ასაწერია, რანაირი შთაბეჭდილება მოახდინა ამ წერილმა ჩემზე. უსუსურ ბავშვს დავემსგავსე. არ ვიცოდი რა მექნა, საით მიმეხედა, რა მეთქვა. სირცხვილმა, საშინელმა სირცხვილმა მოიცავა მთელი ჩემი ასება.

ის კი, წყული ქალი დამცინავის თვალებით შემომცექროდა და გულს მისერავდა. ყოვლად უმშევ მდგომარებაში ვიყავი. რაღაც ვლულლულებით, მაგრამ მეც არ ვიცოდი, რას ვამბობდი.

— ძალიან კარგი, — ვსოდე ბოლოს, როდესაც ცოტა ძალა მოვიკრიფე, — ეს მხიარული ანგელოზი ანგელოზი რომელიმე მწერალს მოთხოვდების სიუჟეტად მაინც გამოადვება.

— მხიარული ანგელოზი! — გადიხარხარია ქალმა, — მეტი რაღა დაგრჩენათ! — ისეთის მწარე, მორჩილი სარკაზმითა სთქვათ, რომ ვეღარ მოვითმინე, საჩქაროდ ქალს წამოვავლე ხელი და გიუივით გამოვარდი. მე წინ და მოვიკრიფე, — ეს მხიარული ანგელოზი რომელიმე მწერალს მოთხოვდების სიუჟეტად მაინც გამოადვება.

— მხიარული ანგელოზი! — გადიხარხარია ქალმა, — მეტი რაღა დაგრჩენათ! — ისეთის მწარე, მორჩილი სარკაზმითა სთქვათ, რომ ვეღარ მოვითმინე, საჩქაროდ ქალს წამოვავლე ხელი და გიუივით გამოვარდი იმ წყული ქალის მოჯადოვებული როთხიდან.

„მე მგონია, ბატონებო, — დაამთავრა ძია ვანოზ, — ამისთან მაგალითის შემდეგ თქვენც ფრთხილად მოიქცევით და ქალის ქულში ადვილად აღარ გაებმებით. მე კი, — მადლობას მოგახსენებთ, — ის ერთი მაგალითიც მეყოფა.“

გარდელი.

